

ქალისა და მამაკაცის მეტყველების ენობრივი თავისებურებანი ქართულ ენაში

მართა რამიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ლინგვისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ სუხიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მართა რამიშვილი

25.06.2021

სარჩევი

აბსტრაქტი	4
Abstract	5
შესავალი	6
თავი 1. ენისა და გენდერის ურთიერთმიმართების თავისებურებანი	9
1.1 სქესისა და გენდერის გარჩევისათვის.....	9
1.2 გენდერის ცნება ლინგვისტიკაში.....	11
1.3 გენდერული ლინგვისტიკის განვითარების ძირითადი ეტაპები	19
1.4 სოციუმში დამკვიდრებული გენდერული სტერეოტიპები.....	26
თავი 2. გენდერული მეტყველების ენობრივი მახასიათებლები.....	31
2.1 მეტყველების ცვლილების გამომწვევი ექსტრალინგვისტური	31
2.2 გენდერული ლინგვისტიკის გრამატიკული თავისებურებანი	34
2.3 წინადადების ტიპები და ინტონაცია	37
2.4 გენდერული ლექსიკის სახესხვაობები	38
თავი 3. მხატვრული ტექსტის გააზრება გენდერულ ასპექტში	41
3.1 ქალისა და მამაკაცის მეტყველების ზოგადი თავისებურებანი	41
3.2 ენისა და გენდერის მიმართება თანამედროვე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში	46
კვლევის მეთოდი.....	53
კვლევის ანალიზი.....	54
დასკვნა.....	64
ბიბლიოგრაფია	66
დანართი 1:კითხვარი.....	74

აბსტრაქტი

ქალები და მამაკაცები განსხვავებულად აზროვნებენ, შესაბამისად, მათი მეტყველება, ქცევა და წერის მანერაც განსხვავებულია. ძირითადად, სხვაობას განსხვავებული ინტერესები და სოციალური გარემო განაპირობებს. განსხვავება შეიმჩნევა როგორც გრამატიკულ, ისე ლექსიკურ და აკუსტიკურ დონეებზე.

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება გენდერლექტის ენობრივი თავისებურებების შესწავლას. კერძოდ, ნაშრომი განიხილავს ქალისა და მამაკაცის მეტყველების თავისებურებებს, მსგავს და განმასხვავებელ ნიშნებს სხვადასხვა თეორიულ მასალაზე დაყრდნობით. სხვაობა შესამჩნევია ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ორივე დონეზე.

ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა, რომელიც გენდერის სტერეოტიპულ სტანდარტებს ადგენს. იგი აგებულია საქართველოში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების ბაზაზე და იკვლევს საზოგადოების დამოკიდებულებას. კვლევა რაოდენობრივია და მასში მონაწილეობა 125-მა ადამიანმა მიიღო. კითხვარი შედგენილია Google Forms-ის სტრუქტურირებულ ანკეტაში (იხ. დანართი 1). შედეგება 25 დახურული კითხვისაგან და მის შესავსებად საჭირო დრო 10 წუთს არ აღემატება.

კვლევა იწყება სტერეოტიპული კითხვებით, შემდეგ გადადის რესპონდენტების მიერ კონკრეტული წინადადების მიქმელის გამოცნობაზე. კვლევის ფოკუსში ძირითადად 20-25 წლის ახალგაზრდები მოექცნენ და, შესაბამისად, მთელი კვლევა მათ პასუხებზეა აგებული. კვლევაში მონაწილე პირებს უნდა ეპასუხათ ისეთ კითხვებზე, როგორებიცაა : ვინ უშვებს უფრო მეტ გრამატიკულ შეცდომას საუბრის დროს? ვის უყვარს საკუთარ თავზე საუბარი? და ა.შ. - სადაც უნდა მოენიშნათ „ქალი“, „კაცი“ ან „ორივე“.

შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტერეოტიპულ კითხვებზე კვლევაში მონაწილე პირებს რადიკალურად განსხვავებული პასუხები არ გაუციათ. კერძოდ, დომინირებდა ისეთი პასუხები, რომელშიც ორივე სქესის წარმომადგენლები მოიაზრებოდნენ. მაგალითად, კითხვაზე - ვინ არის უფრო მეტად აგრესიული საუბრის დროს? - უმრავლესობამ მონიშნა „ორივე“.

საკვანძო სიტყვები : გენდერლექტი, აკუსტიკა, ვერბალური, არავერბალური, გენდერული სტერეოტიპები

Abstract

Women and men think differently, therefore their speech and writing manner are also different. Basically, the difference is due to different interests and social environment. The difference is apparent on grammatical, lexical and acoustic levels.

The master's thesis is dedicated to the study of genderlect, by it is linguistic features. In particular, the paper discusses the peculiarities of female and male speech, similar and distinctive features based on various theoretical materials. The difference is noticeable at both levels of verbal and nonverbal communication.

The paper presents a study that sets stereotypical standards for gender. It is built on the basis of stereotypes established in Georgia and studies the attitude of society. The study is quantitative and 125 respondents participated in it. The questionnaire is compiled in a structured form of Google Forms (**see Appendix 1**). It consists of 25 closed questions and the time required to complete it does not exceed 10 minutes.

The research starts with stereotypical questions, then moves on to the guessing sentences. The focus of the study was mainly on young people aged 20-25 and therefore the whole study is built on their answers. Survey participants should answer questions such as: Who makes the most grammatical errors while speaking? Who likes talking about themselves? Etc. – where “woman”, “man” or “both” should be marked.

According to the results, we can say that the participants in the study did not give radical answers to the stereotypical questions. In particular, the answers with “both” were dominant. For example, the question – Who is more aggressive during a conversation? – The majority marked “both”.

Key Words: Genderlect, acoustic, verbal, nonverbal, gender stereotypes.